ენა როგორც იდეოლოგიური ბრძოლის სივრცე: წინადადების სინტაქსის დისკურსული კონსტრუირება უფლებებზე დაფუძნებულ მემარცხენე და მემარჯვენე ფრთის ინგლისურენოვან პოლიტიკურ გამოსვლებში – პოსტ-სტრუქტურალისტური პერსპექტივა

ვიქტორია ზაქარაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გულიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვიქტორია ზაქარაია

15.06.2026

აბსტრაქტი

თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში ადამიანის უფლებები ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და სადავო პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობაც სხვადასხვა იდეოლოგიურ კონტექსტში განსხვავებულად კონსტრუირდება. ამ პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენასა და იმ სინტაქსურ არჩევანს ენიჭება, რომლებიც პოლიტიკური მნიშვნელობების, სოციალური იდენტობებისა და ძალაუფლებრივი ურთიერთობების ფორმირებაში მონაწილეობს. წინამდებარე ნაშრომი იკვლევს კავშირს წინადადების მიკრო-სინტაქსურ არჩევანსა და უფლებების დისკურსულ კონსტრუირებას შორის, რათა მაკრო-დონეზე წარმოაჩინოს, თუ როგორ ხდება პოლიტიკური იდეოლოგიების ნატურალიზაცია ან დეკონსტრუქცია გრამატიკულ დონეზე.

კვლევის მიზანია პოსტ-სტრუქტურალისტურ პერსპექტივაზე დაყრდნობით გამოავლინოს, თუ როგორ გარდაიქმნება წინადადების სინტაქსი იდეოლოგიური ბრძოლის ინსტრუმენტად უფლებებზე დაფუძნებულ მემარცხენე და მემარჯვენე ინგლისურენოვან პოლიტიკურ დისკურსში.

კვლევის ემპირიულ მასალას ოთხი ინგლისურენოვანი პოლიტიკოსის, ჯერემი კორბინის, ბარაკ ობამას, ბორის ჯონსონისა და დონალდ ტრამპის, უფლებებზე დაფუძნებული საჯარო გამოსვლებიდან შერჩეული წინადადებები შეადგენს. ანალიზი ფოკუსირებულია ოთხ გრამატიკულ კატეგორიაზე: გარდამავლობა, მოდალური სისტემა, პასივიზაცია და კომპლექსური წინადადება (პარატაქსისი/ჰიპოტაქსისი). კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე და ეფუძნება დისკურსის კრიტიკული ანალიზის, სისტემურ-ფუნქციონალური ლინგვისტიკისა და პოსტ-სტრუქტურალისტური დისკურსის თეორიის თეორიულ ჩარჩოებს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სინტაქსური არჩევანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს იდეოლოგიური მნიშვნელობების კონსტრუირებაში. გარდამავლობის ანალიზმა გამოავლინა, რომ მემარცხენე დისკურსში აქტორის პოზიციაში ძირითადად კოლექტიური სუბიექტები რეალიზდება, ხოლო მემარჯვენე დისკურსში –

ინდივიდუალური პოლიტიკური ლიდერი. მოდალური სისტემა ორივე ფლანგზე გამოიყენება პოლიტიკური ვალდებულებებისა და მომავლის ხედვების ლეგიტიმაციისათვის, თუმცა განსხვავებული იდეოლოგიური მიზნებით. პასივიზაცია მემარცხენე დისკურსში უფრო ხშირად გამოიყენება დისკრიმინაციისა და უთანასწორობის გამოცდილების წინა პლანზე წამოსაწევად და დაზარალებული ჯგუფების პოზიციის გასამყარებლად. მემარჯვენე დისკურსი უპირატესობას მოქმედებით გვარს ანიჭებს. კომპლექსურ წინადადებებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჰიპოტაქსისი და პარატაქსისი აქტიურად მონაწილეობს იდეოლოგიური მნიშვნელობების ორგანიზებასა და ნატურალიზაციაში.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიგნება არის ის, რომ ადამიანის უფლებები სხვადასხვა იდეოლოგიური ფლანგის პერსპექტივიდან განსხვავებულად კონსტრუირდება. მემარცხენე დისკურსში უფლებები წარმოდგენილია როგორც სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და კოლექტიური კეთილდღეობის ინსტრუმენტი, ხოლო მემარჯვენე დისკურსში – როგორც თავისუფლების, ეროვნული იდენტობისა და არსებული პოლიტიკური წესრიგის დაცვის მექანიზმი. კვლევა ადასტურებს, რომ სინტაქსი პოლიტიკური დისკურსის ფარგლებში იდეოლოგიური ბრძოლის მნიშვნელოვან სივრცეს წარმოადგენს.

ნაშრომი ხელს უწყობს პოლიტიკური დისკურსის, დისკურსის კრიტიკული ანალიზისა და სისტემურ-ფუნქციონალური ლინგვისტიკის სფეროებში არსებული ცოდნის გაფართოებას და წარმოაჩენს პოლიტიკური ტექსტების კრიტიკული გააზრებისათვის მნიშვნელოვანი სინტაქსური მექანიზმების როლს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დისკურსის კრიტიკული ანალიზი, სისტემურ-ფუნქციონალური ლინგვისტიკა, პოსტ-სტრუქტურალიზმი, პოლიტიკური დისკურსი, ადამიანის უფლებები, იდეოლოგია, სინტაქსი, გარდამავლობა, მოდალური სისტემა, პასივიზაცია, კომპლექსური წინადადება, პარატაქსისი, პიპოტაქსისი.

Abstract

Human rights have become one of the most significant and contested issues in contemporary political discourse, with their meanings being constructed differently across ideological contexts. In this process, language and the syntactic choices through which political meanings, social identities and power relations are articulated play a crucial role. This thesis investigates the relationship between micro-syntactic choices at the sentence level and the discursive construction of rights in order to demonstrate how political ideologies are naturalised or deconstructed through grammatical structures at the macro level.

The aim of this study is to examine, from a post-structuralist perspective, how clausal syntax functions as an instrument of ideological struggle in left- and right-wing rights-based English-language political discourse.

The empirical material consists of selected sentences drawn from rights-based public speeches delivered by four English-speaking politicians: Jeremy Corbyn, Barack Obama, Boris Johnson and Donald Trump. The analysis focuses on four grammatical categories: transitivity, modality system, passivisation and clause complex (parataxis/hypotaxis). The study employs a qualitative methodology and is grounded in the theoretical frameworks of Critical Discourse Analysis, Systemic Functional Linguistics and post-structuralist discourse theory.

The findings demonstrate that syntactic choices play a significant role in the construction of ideological meanings. The analysis of transitivity reveals that collective actors predominantly occupy the position of agency in left-wing discourse, whereas individual political leaders are more frequently represented as agents in right-wing discourse. The modal system is employed across both ideological camps to legitimise political commitments and future visions, albeit in pursuit of different ideological objectives. Passivization occurs more frequently in left-wing discourse, where it serves to foreground experiences of discrimination and inequality and to strengthen the representation of affected social groups. By contrast, right-wing discourse shows a preference for

active voice constructions. The analysis of clause complex further indicates that both hypotaxis and parataxis actively contribute to the organisation and naturalisation of ideological meanings.

One of the principal findings of the study is that human rights are constructed differently across ideological perspectives. In left-wing discourse, rights are represented as instruments of social justice, equality, and collective well-being, whereas in right-wing discourse they are framed as mechanisms for the protection of freedom, national identity, and the existing political order. The study confirms that syntax constitutes an important site of ideological struggle within political discourse.

This thesis contributes to the fields of political discourse studies, Critical Discourse Analysis and Systemic Functional Linguistics by expanding existing knowledge and highlighting the role of syntactic mechanisms in the critical interpretation of political texts.

Key Words: Critical Discourse Analysis (CDA), Systemic Functional Linguistics (SFL), post-structuralism, political discourse, human rights, ideology, syntax, transitivity, modality, passivization, clause complex, parataxis, hypotaxis.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისთვის მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო გულიაშვილს. მისი რეკომენადიციები, მხარდაჭერა და კონსტრუქციული შენიშვნები მნიშვნელოვნი იყო სამაგისტრო ნაშრომის განვითარებისა და დასრულებისთვის.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ოჯახსა და უახლოეს მეგობრებს მუდმივი მხარდაჭერისა და გამხნევებისთვის. მათმა თანადგომამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში.